ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 53

"1" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი უძრავი ქონების შპს ,,დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის" (ს/ნ 205130464) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 116-ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-12 და მე-13 პუნქტების საფუძველზე და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის" მიერ განაცხადთა შეფასების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 23 აგვისტოს №31.02.609 და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 15 სექტემბრის №34.04.652 განკარგულებების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის შესახებ" 2017 წლის 15 სექტემბერს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და სს „საქართველოს ბანკს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.5 პუნქტის, მე-5 მუხლის, მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის 8.4.15 და 8.4.16

ქვეპუნქტების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხული, ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 205130464) გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 იანვრის №19.112.142 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, 2028 წლის 15 სექტემბრამდე ვადით, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 205130464) გადაცემასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით განსაზღვრული სარგებლობის პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**